საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

N 04/1668
21.10.2026

ბრძანება

1668-01-4-202610211742

სსიპ - საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის 2026 წლის 28 ივლისის N 04/1174 ბრძანების შესაბამისად, შპს „ფუდლის“ (ს/ნ 405410782) მიერ სააგენტოს გადაწყვეტილების განსაზღვრულ ვადაში შეუსრულებლობის გამო ჯარიმის დაკისრების თაობაზე

1. ფაქტობრივი გარემოებები

1.1. სსიპ - საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტომ (შემდგომში - სააგენტო) მოქალაქეების ნინო მესხელისა და გიორგი კუმელაშვილის განცხადებების საფუძველზე შპს „ფუდლის“ (ს/ნ 405410782) მიერ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაძლო დარღვევის თაობაზე საქმის შესწავლის დაწყების შესახებ სააგენტოს თავმჯდომარის 2025 წლის 18 თებერვლის №04/134 ბრძანების თანახმად, დაიწყო საქმის შესწავლა მოვაჭრის - შპს „ფუდლის“ (ს/ნ 405410782) (შემდგომში - მოვაჭრე) მიერ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაძლო დარღვევის თაობაზე.

1.2. „სსიპ - საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს თავმჯდომარის 2025 წლის 18 თებერვლის N 04/134 ბრძანების შესაბამისად განხორციელებული საქმის შესწავლის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების დამტკიცების შესახებ“ სსიპ - საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის 2026 წლის 28 ივლისის N 04/1174 ბრძანებით (შემდგომში - ბრძანება) დადასტურდა შპს „ფუდლის“ (ს/ნ 405410782) მიერ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტისა და მე-10 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევის ფაქტი და კანონდარღვევის აღმოფხვრის მიზნით, შპს „ფუდლის“ (ს/ნ 405410782) დაევალა თავისი სავაჭრო პოლიტიკის კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა და ასევე მომხმარებელთა დარღვეული უფლების აღდგენა.

1.3. სააგენტოს 2026 წლის 30 ივლისის N 02/5156 წერილით მოვაჭრეს გაეგზავნა ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილება სააგენტოსთვის ცნობილ მისამართზე. მოვაჭრემ წერილი ჩაიბარა 2026 წლის 20 აგვისტოს.

1.4. ბრძანების მე-3 და მე-4 პუნქტის საფუძველზე, მოვაჭრე ვალდებული იყო ბრძანების ჩაბარებიდან 1 თვის ვადაში გაეტარებინა შესაბამისი ღონისძიებები და აღნიშნულის

თაობაზე 1 თვიანი ვადის გასვლიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში (2026 წლის 28 სექტემბრის ჩათვლით) ეცნობებინა სააგენტოსთვის. 2026 წლის 9 ოქტომბრის N02/6984 წერილით სააგენტომ მიმართა მოვაჭრეს, რათა წარმოედგინა გადაწყვეტილების დამადასტურებელი დოკუმენტი ან გადაწყვეტილების შეუსრულებლობის შემთხვევაში, განემარტა აღნიშნულის შესახებ. აღნიშნული წერილის პასუხად, მოვაჭრის დირექტორმა სააგენტოს მომართა 2026 წლის 15 ოქტომბრის N01/9311 წერილით და განმარტა, რომ მომსახურების ზოგადი წესები და პირობები შეიცვალა Bolt Opertions OÜ-ს მიერ, სააგენტოს მიერ გამოთქმული მოსაზრებების გათვალისწინებით, სააგენტოსთან თანამშრომლობის საფუძვლით და ის არ წარმოადგენს დარღვევის აღიარებას. 2026 წლის 15 ოქტომბრის N01/9285 წერილით, Bolt Opertions OÜ-ის სახელით, სააგენტოს მომართა სორინა მიჰაიმ და წარმოადგინა Bolt Food-ის ქართული წესებისა და პირობების ბმული. აღნიშნული ბმულის შემოწმების შედეგად, სააგენტომ დაადგინა, რომ მოვაჭრის (შპს „ფუდლის“) მიერ სააგენტოს გადაწყვეტილებით მასზე დაკისრებული ვალდებულება შესრულებული არ არის.

1.5. მოვაჭრეს სააგენტოსთვის არ წარმოუდგენია ვალდებულებების შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებები.

1.6. წინა ფინანსური წლის განმავლობაში მოვაჭრის წლიური ბრუნვა შეადგენს ლარს.

2. ნორმატიული რეგულირება

2.1. სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანებით დამტკიცებული „საქმის შესწავლის წესისა და პროცედურის“ (შემდგომში - პროცედურა) მე-17 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, სააგენტოს მიერ საქმის შესწავლის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება 3 სამუშაო დღის ვადაში ეგზავნება მოვაჭრეს. თუ მოვაჭრისთვის გადაწყვეტილების ჩაბარება ვერ განხორციელდა ამ წესის მე-16 მუხლით დადგენილი ფორმით, გადაწყვეტილება მხარისათვის ჩაბარებულად ითვლება მისი სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან 30-ე დღეს.

2.2. კანონის 34-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სააგენტოს გადაწყვეტილების მის მიერვე განსაზღვრულ ვადაში შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მოვაჭრეს ჯარიმა დაეკისრება. ამ ჯარიმის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს წინა ფინანსური წლის განმავლობაში მოვაჭრის წლიური ბრუნვის 2 პროცენტს. ამასთანავე, იგი 600 ლარზე ნაკლები არ უნდა იყოს.

2.3. კანონის 34-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ჯარიმის ოდენობის განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იქნეს დარღვევის ხასიათი, სიმძიმე და ხანგრძლივობა.

2.4. კანონის 34-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, ჯარიმის დაკისრება მოვაჭრეს არ ათავისუფლებს სააგენტოს გადაწყვეტილების შესრულების ვალდებულებისგან.

2.5. კანონის 34-ე მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში იგი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიექცევა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

2.6. სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანებით დამტკიცებული „საქმის შესწავლის წესისა და პროცედურის“ მე-18 მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტების თანახმად, ჯარიმის ოდენობის განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იქნეს დარღვევის მასშტაბი, ხასიათი, სიმძიმე, ხანგრძლივობა და სხვა გარემოებები. კანონის დარღვევის გამო დასაკისრებელი ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის წესი მტკიცდება სააგენტოს თავმჯდომარის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

2.7. სააგენტოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის 2024 წლის 30 სექტემბრის №04/945 ბრძანებით დამტკიცებული „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „ელექტრონული კომერციის შესახებ“ საქართველოს კანონის დარღვევის გამო დასაკისრებელი ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის წესის (შემდგომში - წესი) მე-3 მუხლის თანახმად, ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის პროცესში სააგენტო, მხარეთა ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედებს კანონით განსაზღვრულ ფარგლებში. სააგენტოს მიერ გამოყენებული ჯარიმა უნდა იყოს ეფექტური, პროპორციული და პრევენციული. ჯარიმის ოდენობა უნდა შეესაბამებოდეს პირის ეკონომიკურ და ფინანსურ შესაძლებლობებს. პირისათვის დასაკისრებელი ჯარიმის ოდენობამ საფრთხე არ უნდა შეუქმნას მის კომერციულ საქმიანობას. ჯარიმის დაკისრება პირს არ ათავისუფლებს სააგენტოს გადაწყვეტილების შესრულების ვალდებულებისგან.

2.8. წესის მე-4 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების თანახმად, სააგენტოს გადაწყვეტილების მის მიერვე განსაზღვრულ ვადაში შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში პირს დაეკისრება ჯარიმა, რომლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს წინა ფინანსური წლის განმავლობაში პირის წლიური ბრუნვის 2 პროცენტს. ამასთანავე, მოვაჭრისთვის ჯარიმის ოდენობა არ უნდა იყოს 600 ლარზე ნაკლები.

2.9. წესის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ჯარიმის ოდენობა გამოითვლება სააგენტოს მიერ ჯარიმის დაკისრების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების წინა ფინანსური წლის განმავლობაში პირის წლიური ბრუნვიდან, ხოლო, თუ პირი, კანონმდებლობით დადგენილი წესით, რეგისტრირებულია სააგენტოს მიერ ჯარიმის დაკისრების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების წელს, შესაბამის ფინანსურ წლად ჩაითვლება ჯარიმის დაკისრების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების წელი და ჯარიმის გამოთვლა განხორციელდება პირის რეგისტრაციიდან სააგენტოს მიერ ჯარიმის დაკისრების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებამდე პერიოდში მიღებული ბრუნვიდან.

2.10. წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ჯარიმის ოდენობის განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იქნეს შემდეგი კრიტერიუმები: დარღვევის მასშტაბი, ხასიათი, სიმძიმე, ხანგრძლივობა და სხვა გარემოებები.

3. სამოტივაციო ნაწილი

3.1. ბრძანების მე-3 და მე-4 პუნქტის საფუძველზე, მოვაჭრე ვალდებული იყო ბრძანების ჩაბარებიდან 1 თვის ვადაში გაეტარებინა შესაბამისი ღონისძიებები და აღნიშნულის თაობაზე 1 თვიანი ვადის გასვლიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში (2026 წლის 28 სექტემბრის ჩათვლით).

3.2. კანონის 34-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სააგენტოს გადაწყვეტილების მის მიერვე განსაზღვრულ ვადაში შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მოვაჭრეს ჯარიმა დაეკისრება. ამ ჯარიმის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს წინა ფინანსური წლის განმავლობაში მოვაჭრის წლიური ბრუნვის 2 პროცენტს. ამასთანავე, იგი 600 ლარზე ნაკლები არ უნდა იყოს.

3.3. წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ჯარიმის ოდენობის განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იქნეს შემდეგი კრიტერიუმები: დარღვევის მასშტაბი, ხასიათი, სიმძიმე, ხანგრძლივობა და სხვა გარემოებები.

3.4. მოვაჭრის მიერ დარღვევის ჩადენის **მასშტაბის** განსაზღვრისას, სააგენტო ითვალისწინებს დარღვევის გეოგრაფიულ და შინაარსობრივ მასშტაბებს - დარღვევა მოხდა ადგილობრივად (ლოკალურად, მხოლოდ ერთ რეგიონში) თუ ქვეყნის მასშტაბით და იმ მომხმარებელთა რაოდენობას, რომელთა ინტერესებზეც გავლენას ახდენს ან/და შესაძლოა მოახდინოს დარღვევის შედეგებმა (დარღვევა ვრცელდება ძალიან ვიწრო წრეზე თუ ფართო წრეზე). განსახილველ შემთხვევაში, მოვაჭრე კომერციულ საქმიანობას, ახორციელებს დისტანციურად, მისი აპლიკაციის მეშვეობით. აღსანიშნავია, რომ მოვაჭრე ოპერირებს საქართველოს ზოგიერთ ქალაქში.[1] გაერთიანებულ საქმეებზე C-585/08 და C-144/09, ევროკავშირის მართმსაჯულების სასამართლოს 2010 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილების მიხედვით მოვაჭრის კომერციული საქმიანობის გეოგრაფიული არეალის განსასაზღვრად მნიშვნელოვანია დადგინდეს მოვაჭრის განზრახვა, სად გამოხატავს ნებას განახორციელოს კომერციული საქმიანობა, რა არეალს მოიცავს მისი სამიზნე ტერიტორია.[2] გადაწყვეტილების თანახმად, მოვაჭრის მიზნის განსაზღვრისას სხვადასხვა ფაქტორებს შეიძლება მიექცეს ყურადღება, თუმცა საგულისხმოა, რომ უშუალოდ მოვაჭრის მისამართები არ წარმოადგენს კომერციული საქმიანობის გეოგრაფიული არეალის განსაზღვრის აუცილებელ წინაპირობას. გეოგრაფიული არეალის განსასაზღვრად

[1] https://bolt.eu/ka-ge/support/articles/360021486019/. გრაფაზე შეარჩიეთ თქვენი ქალაქი ჩვენს ვებ.გვერდზე დაჭერისას, ვიზიტორი გადამისამართდება შემდეგ ბმულზე - https://bolt.eu/ka-ge/cities/

[2] ევროკავშირის მართმსაჯულების სასამართლოს 2010 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილება გაერთიანებულ საქმეებზე C-585/08 და C-144/09

გასათვალისწინებელია, მაგალითად კომერციული საქმიანობისთვის გამოსაყენებელი ენა.[3] ამ შემთხვევაში, ცალსახად დგინდება, რომ მოვაჭრის კომერციული საქმიანობა მოიცავს საქართველოს ტერიტორიის ნაწილს და ამავდროულად მისი კომერციული საქმიანობის ენა არის ქართული.

მოვაჭრის სავაჭრო პოლიტიკის სამიზნე აუდიტორია არის ქართველი მომხმარებელი. მოვაჭრის მომსახურება მოიცავს საქართველოს დიდ ქალაქებს. მოვაჭრის კანონდარღვევა მიმართულია იმ მომხმარებლებზე, რომლებიც იმყოფებიან მოვაჭრის ოპერირებად ტერიტორიაზე და აქვთ სურვილი და შესაძლებლობა ისარგებლონ მისი აპლიკაციით. ამრიგად, კანონთან შესაბამისი სავაჭრო პოლიტიკის არარსებობა გავლენას ახდენს საქართველოს ტერიტორიაზე მყოფ ყველა პოტენციურ მომხმარებელზე. იმის გათვალისწინებით, რომ მოვაჭრის მომსახურება მოიცავს საქართველოს დიდ ქალაქებს, პოტენციურ და მოქმედ მომხმარებლების რიცხვი მოიცავს საქართველოს მოსახლეობის უმეტესობას. მასშტაბის შეფასებისას, სააგენტომ მხედველობაში უნდა მიიღოს აღნიშნული გარემოება და დარღვევის **მასშტაბის კოეფიციენტი - L** შეფასდეს **-ით.**

3.5. მოვაჭრის მიერ დარღვევის **ხასიათის** შეფასებისას, სააგენტო ითვალისწინებს ქმედება განზრახ იქნა ჩადენილი თუ გაუფრთხილებლობით. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-11 მუხლის თანახმად, დარღვევა განზრახ ჩადენილად ჩაითვლება, თუ მის ჩამდენს შეგნებული ჰქონდა თავისი მოქმედების ან უმოქმედობის მართლსაწინააღმდეგო ხასიათი, ითვალისწინებდა მის მავნე შედეგებს და სურდა ისინი ან შეგნებულად უშვებდა მათ. მოცემულ შემთხვევაში, საქმეში არსებული გარემოებების შეფასებისას, დადგინდა, რომ მოვაჭრის სავაჭრო პოლიტიკა კვლავ არ არის კანონის მოთხოვნებთან თავსებადი. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-11 მუხლი ქმედების განზრახულობის 2 შემთხვევას გამოყოფს: I **როდესაც ქმედების ჩამდენს შეგნებული ჰქონდა თავისი მოქმედების ან უმოქმედობის მართლსაწინააღმდეგო ხასიათი, ითვალისწინებდა მის მავნე შედეგებს და სურდა ისინი**; **II შეგნებულად უშვებდა მათ.** ვინაიდან მოვაჭრის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს სწორედ მომხმარებლებთან ურთიერთობა, პრეზუმირებულია, რომ მან იცის ინფორმაციის მიუწოდებლობის მავნე შედეგები. პრეზუმირებულია ისიც, რომ მისთვის ცნობილია საკუთარი ვალდებულების არსი მომხმარებლების წინაშე. აღნიშნულის გათვალისწინებით, მოვაჭრემ იცის რა მავნე შედეგს წარმოშობს მომხმარებლისთვის ინფორმაციის მიუწოდებლობა მისი კანონით გათვალისწინებული უფლებების შესახებ და უშუალოდ მოვაჭრის შესახებ. ამდენად, ფაქტობრივი გარემოებების შეჯერების შედეგად დგინდება, რომ მოვაჭრის მიერ ზემოაღნიშნული ქმედებები განზრახ იქნა ჩადენილი. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ეჭვგარეშეა, რომ მოვაჭრეს შეგნებული ჰქონდა თავისი მოქმედების/უმოქმედობის მართლსაწინააღმდეგო ხასიათი, ითვალისწინებდა მის მავნე შედეგებს და სურდა ისინი ან შეგნებულად უშვებდა მათ. შესაბამისად, ჯარიმის

[3] იქვე.

განმსაზღვრელი ფორმულის კრიტერიუმი, **დარღვევის ხასიათი - N** უნდა შეფასდეს წინა წლის წლიური ბრუნვის -ის ოდენობით.

3.6. მოვაჭრის მიერ ჩადენილი დარღვევის **სიმძიმის** შეფასებისას, სააგენტო ითვალისწინებს შემდეგ კრიტერიუმებს: ა) ინტენსივობას; ბ) დამდგარი ან მოსალოდნელი ზიანის სახეს (ქონებრივი); გ) ზიანის ოდენობას; დ) არიან თუ არა დაზარალებულები მოწყვლადი ჯგუფის წარმომადგენლები; ე) მოვაჭრე მოქმედებდა მოგების მიღების მიზნით თუ საკუთარი საწარმოს რთულ ვითარებაში ჩაგდების თავიდან ასარიდებლად.

განსახილველ შემთხვევაში, მოვაჭრე არღვევს მომხმარებლის ინფორმირების ვალდებულებას, რაც შედეგად იწვევს მომხმარებლის მხრიდან არაინფორმირებული გადაწყვეტილების მიღებას. ამავდროულად მისი სტანდარტული პირობა უზღუდავს მომხმარებელს მოვაჭრის მიმართ მოთხოვნის წაყენების რეალურ შესაძლებლობას. დამატებით, სააგენტო ყურადღებას გაამახვილებს რამდენიმე მნიშვნელოვან გარემოებაზე, კერძოდ: დამდგარი ან მოსალოდნელი ზიანის სახეზე (ქონებრივი); მოვაჭრის მოქმედების მიზნობრიონაზე.

დამდგარი ან მოსალოდნელი ზიანი სახე (ქონებრივი) - უპირველესად აღსანიშნავია, რომ მოვაჭრის ქმედება წარმოადგენს ინფორმაციის მიუწოდებლობას. საქმის შესწავლის ეტაპზე არ გამოკვეთილა რომელიმე მომხმარებელს მიადგა თუ არა აღნიშნული დარღვევით ზიანი. ამდენად სააგენტო შეაფასებს მოსალოდნელი ზიანის სახეს. სააგენტოს გადაწყვეტილებებში არაერთხელ განიმარტა, რომ მომხმარებლის ინფორმირებულობა წარმოადგენს მომხმარებლის უფლებების დაცვის ფუნდამენტს. ინფორმირებული მომხმარებელი რაციონალური გააზრების საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას, აქვს შესაძლებლობა შეაფასოს მოსალოდნელი შედეგი და ყველა ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებით გადაწყვიტოს სურს თუ არა კონკრეტულ პირთან გარიგების დადება, სურს თუ არა იმოქმედოს მოვაჭრის მიერ განსაზღვრული პირობების შესაბამისად და ა.შ. იმ პირობებში, როდესაც მომხმარებელს არ მიეწოდება ინფორმაცია მოვაჭრის ვინაობის, კანონისმიერი გარანტიისა და ხელშეკრულებაზე უპირობოდ უარის თქმის წესების შესახებ, მას შესაძლოა მიადგეს მატერიალური ზიანი.

უპირველესად სააგენტო ყურადღებას გაამახვილებს მოვაჭრის შესახებ ინფორმაციის მიუწოდებლობის ფაქტზე. სააგენტოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულების 2026 წლის 28 ივლისის N04/1174 ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილებით, ფაქტობრივი გარემოებების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე Bolt Food-ის მომსახურების გამწევი პირი არის შპს „ფუდლი“. აღსანიშნავია, რომ მოვაჭრის წესებსა და პირობებში დღემდე არ არის აღნიშნული ინფორმაცია ასახული. მოვაჭრის შესახებ ინფორმაციის მიუწოდებლობამ შესაძლოა გამოიწვიოს მომხმარებლისთვის მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზიანის მიყენება. უპირველესად აღსანიშნავია, რომ მომსახურების ხელშეკრულება თავისი არსით არის სულ მცირე 2 სუბიექტიანი გარიგება. „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის“ (შემდგომში - სსკ) 50-ე მუხლის თანახმად, გარიგება

არის ცალმხრივი, ორმხრივი ან მრავალმხრივი ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ. სსკ-ის 668-ე მუხლის თანახმად, გადაზიდვის ხელშეკრულებით გადამზიდველი ვალდებულია შეთანხმებული საზღაურის გადახდით გადაიტანოს ტვირთი ან გადაიყვანოს მგზავრი დანიშნულების ადგილზე. ცალსახაა, რომ როგორც ზოგადი (სსკ-ის 50-ე მუხლი), ისე სპეციალური (სსკ-ის 668) ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, გარიგების შემადგენელი უპირველესი ელემენტი არის მოქმედი სუბიექტები, ვის აქვს ვის მიმართ ვალდებულება. თუ მხარეებმა არ იციან ერთმანეთის ვინაობა მაშინ, გარიგების არსი დაიკარგება, რადგან ერთი მხრივ ბუნდოვანი ხდება ნების გამოვლენის არსებობა და მეორე მხრივ მას ვერ მოყვება შედეგი (სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობა, შეცვლა ან შეწყვეტა). კონტრაჰენტის შესახებ ინფორმაციის ქონა განაპირობებს როგორც სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობას, ისე გარიგების მონაწილეთა ურთიერთნობას. მხარეთა ვინაობის განდობა განაპირობებს იმასაც, რომ მათ მიერ ნაკისრი სახელშეკრულებო ვალდებულებები ჯეროვნად შესრულდეს, ხელშეკრულების დამრღვევმა მხარემ იცის, რომ მის კონტრაჰენტს შეუძლია სამართლებრივად იდავოს მის წინააღმეგ. ამგვარი ინფორმაციის დამალვა მომხმარებლისთვის იმაზე უფრო დიდი ზიანის მომტანია ვიდრე, თანაბარი შესაძლებლობის მქონე სუბიექტებს შორის დადებული ხელშეკრულებისას იქნებოდა. მომხმარებელს კიდევ უფრო ნაკლები შესაძლებლობა აქვს მოიძიოს მოვაჭრის შესახებ ინფორმაცია, მისი ცოდნისა თუ შესაძლებლობების გათვალისწინებით. ამგვარი ბუნდოვანება მომხმარებელს სრულად მოვაჭრის კეთილ ნებაზე დამოკიდებულს ხდის. მას ერთმევა შესაძლებლობა მოვაჭრისგან მოითხოვოს ვალდებულების შესრულება ან აღნიშნულის შეუსრულებლობის შემთხვევაში ზიანის ანაზღაურება თუ სხვა. ამგვარი ინფორმაციის მიუწოდებლობა მოვაჭრეს აძლევს შესაძლებლობას დაარღვიოს სახელშეკრულებო თუ კანონისმიერი ვალდებულებები ისე, რომ მას შესაბამისი პასუხისმგებლობა არ დაეკისროს. მოვაჭრის შესახებ ინფორმაციის მიუწოდებლობა ფაქტობრივად მომხმარებელს უუფლებოდ ტოვებს. აღნიშნული ინფორმაციის დამალვამ შესაძლოა გამოიწვიოს მომხმარებლისთვის პირდაპირი ეკონომიკური ზიანი, რაც გამოიხატება თუნდაც ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის შეუძლებლობაში. მოვაჭრის მონაცემების მოსაძიებლად მომხმარებელს უწევს ინფორმაციის მოძიება და დამუშავება (რაც შესაძლოა ასევე ხარჯებთან იყოს დაკავშირებული). ამ ინფორმაციის დამალვას შეუძლია გამოიწვიოს, როგორც ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებლის მიღების, ისე ზიანის ანაზღაურების შეუძლებლობა. დამატებით მომხმარებელს შესაძლოა წარმოუშოს ხარჯები, რომელიც მოვაჭრის მონაცემების ცოდნის შემთხვევაში არ წარმოეშობოდა.

კანონისმიერი გარანტიის შესახებ ინფორმაციის გარდა იმისა, რომ მოვაჭრეს აძლევს ხელშეკრულების დარღვევის დაუბრკოლებელ შესაძლებლობას, მომხმარებელს არ ეძლევა შესაძლებლობა სრულფასოვნად იდავოს საკუთარი უფლებების დასაცავად. კანონისმიერი გარანტიის შემოღებით, კანონმდებლობა მომხმარებლის მტკიცების ტვირთს ამსუბუქებს. ამგვარი ინფორმაციის არ ქონის პირობებში, მან შესაძლოა არ იდავოს მოვაჭრის მიერ ვალდებულების დარღვევასთან დაკავშირებით, რადგან მას ექნება განცდა, რომ მტკიცების

ტვირთი მას ეკისრება, მაშინ, როდესაც აღნიშნული არის პირიქით. ამასთან დავის დაწყების შემთხვევაშიც, კანონისმიერი გარანტიის შესახებ ინფორმაციის მიუწოდებლობისას, მას მოუწევს მტკიცებულებების შეგროვება, ინფორმაციის მოძიება, რადგან ჩათვლის, რომ მტკიცების პროცესში თავად არის აქტიური მხარე. აღნიშნული კი, ხარჯების გაღებას უკავშირდება. კანონისმიერი გარანტიის შესახებ ინფორმაციის მიწოდების შემთხვევაში მას ექნება სწორი მოლოდინი იმ ხარჯების შესახებ, რომელის საჭიროა დავის საწარმოებლად. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ამგვარი ინფორმაციის დამალვა განაპირობებს ერთი მხრივ, მომხმარებლის მიერ არასაჭირო ხარჯების გაღებას, ხოლო მეორე მხრივ მოვაჭრისგან ზიანის ანაზღაურების არ მოთხოვნას.

დისტანციურ ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება ევროპული და შემდგომ ქართული მომხმარებლის დაცვის სამართლით გათვალისწინებული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უფლებაა. დისტანციურად დადებული ხელშეკრულებებისათვის უარყოფის უფლების არსი ვლინდება მომხმარებლის შესაძლებლობაში დარწმუნდეს ნამდვილად სურს თუ არა ხელშეკრულების გაგრძელება. მომხმარებელი კიდევ უფრო სუსტ პოზიციაში იმყოფება, როდესაც ის დისტანციურ ტრანზაქციას ახორციელებს. ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება სწორედ დისტანციური ვაჭრობისას მომხმარებლის დაცვის მიზნით შეიქმნა და მისი ამოცანა დისტანციური ხელშეკრულების დადებისას მოვაჭრისა და მომხმარებლის პოზიციების დაბალანსებაა.

ყოველგვარი საფუძვლის მითითების გარეშე დისტანციურ ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების განსაკუთრებული მნიშვნელობის მიუხედავად, სამომხმარებლო ურთიერთობებში შესაძლოა დადგეს შემთხვევები, როდესაც მომხმარებლისთვის აღნიშნული უფლების მინიჭება მოვაჭრეს გაუმართლებლად არასახარბიელო მდგომარეობაში ჩააყენებდა. სწორედ ამიტომ, კანონის მე-14 მუხლით ყოველგვარი საფუძვლის მითითების გარეშე ხელშეკრულებაზე უარის თქმასთან დაკავშირებული გამონაკლისებია გათვალისწინებული.

მომსახურების გაწევის დაწყებამდე შესაძლოა მომხმარებელს გამოუჩნდეს გადაუდებელი აუცილებლობა, რამაც საჭირო გახადოს ხელშეკრულებაზე უარის თქმა. იმ პირობებში, როდესაც მას არ მიეწოდება ინფორმაცია ხელშეკრულებაზე უპირობოდ უარი თქმის შესახებ მას შესაძლოა მიადგეს ზიანი, რაც შეიძლება გამოიხატოს, თუნდაც მოვაჭრის მომსახურებაში გადახდილი თანხაში თუ სხვა. ამავდროულად, თუკი მოვაჭრის საქმიანობაზე არ ვრცელდება უარის თქმის უფლება, მან აღნიშნულის შესახებ ასევე უნდა განუმარტოს მომხმარებელს, რომ ამ უკანასკნელს არასწორი წარმოდგენა არ შეექმნას და იმ იმედით, რომ მას შეეძლება ხელშეკრულებაზე უარის თქმა გარიგება არ დადოს. ამასთან აღსანიშნავია, რომ მოვაჭრის კომერციული საქმიანობიდან გამომდინარე, მომხმარებელი სხვა მოვაჭრეებთანაც შედიან გარიგებაში, მათგან ყიდულობენ საქონელს. იმის გათვალისწინებით, რომ Bolt Food-აპლიკაცია იძლევა საშუალებას მომხმარებელმა გამოიძახოს, როგორც კანონის მე-14 მუხლის რეგულირებას დაქვემდებარებული, ისე აღნიშნული რეგულირების მიღმა მყოფი საქონელი, მომხმარებელს უნდა მიეწოდოს

ინფორმაცია რა შემთხვევაში აქვს ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება და რა შემთხვევაში არა.

მოვაჭრის ქმედების მიზნობრიობა - მოცემულ ეტაპზე შესაფასებელია, მოვაჭრის ქმედების მიზანი. სააგენტოს გადაწყვეტილებით დადგენილი გარემოებებით დგინდება, რომ მოვაჭრე მომხმარებელს არ აწვდის კანონით გათვალისწინებულ ინფორმაციას. საქმის შესწავლის ეტაპზე არ გამოვლენილა და არც მოვაჭრეს მოუწოდებია ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მისი ქმედებას განაპირობებდა საწარმოს რთული ვითარებიდან გამომდიანრე. ამავდროულად თავად ქმედებათა ბუნება გამორიცხავს აღნიშნული მიზნის არსებობას. ერთი მხრივ მოვაჭრეს არ მიუთითებია, რაიმე ობიექტური გარემოების არსებობაზე, ხოლო მეორე მხრივ საპირწონეს არც ფაქტობრივი გარემოებები ადასტურებს.
ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, დარღვევის **სიმძიმის კოეფიციენტი** - **M**, უნდა შეფასდეს **-ით.**

3.7. მოვაჭრის მიერ დარღვევის ჩადენის **ხანგრძლივობის** დადგენისას, სააგენტო ითვალისწინებს რამდენ ხანს გრძელდებოდა კანონსაწინააღმდეგო მოქმედება (ან უმოქმედობა). ვინაიდან პირველი განცხადება მოვაჭრესთან დაკავშირებით სააგენტოში შემოვიდა 2025 წლის 6 იანვარს, სააგენტო მიიჩნევს, რომ მოვაჭრის მიერ კანონის შეუსაბამო ქმედებები ხორციელდება სულ მცირე აღნიშნული თარიღიდან დღემდე. მოვაჭრის მიერ საქმის შესწავლის არცერთ ეტაპზე, ამასთან დარღვევის დადასტურების შემდეგაც არ იქნა მოწოდებული ინფორმაცია, კანონმდებლობით აკრძალული კომერციული საქმიანობის შეწყვეტის თაობაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, დარღვევის **ხანგრძლივობის კრიტერიუმი** - **T** უნდა შეფასდეს წინა წლის წლიური ბრუნვის -ით.

3.8. მოვაჭრის მიერ კანონის **დარღვევის ფაქტების სხვა გარემოებების** შეფასებისას, სააგენტო ითვალისწინებს შემდეგ კრიტერიუმებს: ა) მოვაჭრემ სცადა თუ არა სამართალდარღვევის მავნე შედეგების აცილება, ზარალის ნებაყოფლობით ანაზღაურება ან მიყენებული ზიანის გამოსწორება; ბ) მოვაჭრემ მიიღო თუ არა ზომები დარღვევის გამოსწორების მიზნით; გ) საქმის შესწავლის დროს სააგენტოსთან თანამშრომლობა; ე) მოვაჭრის მიერ დარღვევის ჩადენის მრავალჯერადობა.

სააგენტოს გადაწყვეტილების შემდგომ მოვაჭრე ინფორმირებულია იმ მავნე შედეგების შესახებ, რასაც იწვევს მისი კომერციული საქმიანობა. მოვაჭრე კომერციულ საქმიანობას ახორციელებს პლატფორმის მეშვეობით, მას შეეძლო განეახლებინა მისი სავაჭრო პირობები სააგენტოს გადაწყვეტილებისა და მითითებების შესაბამისად, თუმცა სააგენტოს მიერ აღნიშნული გვერდის გადამოწმების შედეგად დადგიდნა, რომ მოვაჭრის პირობები გამოსწორებული არ არის.[4] შესაბამისად, მოვაჭრის ფინანსური მდგომარეობისა და დარღვევის ფაქტის სხვა გარემოებების გათვალისწინებით, **კოეფიციენტი A** უნდა შეფასდეს -ის შესაბამისად.

[4] https://bolt.eu/ka-ge/legal/delivery/tnc-food-delivery-client-new-ge/

3.9. აღსანიშნავია, რომ წინა ფინანსური წლის განმავლობაში მოვაჭრის წლიური ბრუნვა შეადგენს **ლარს.** ამასთან, კანონის 34-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სააგენტოს გადაწყვეტილების მის მიერვე განსაზღვრულ ვადაში შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მოვაჭრეს ჯარიმა დაეკისრება. ამ ჯარიმის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს წინა ფინანსური წლის განმავლობაში მოვაჭრის წლიური ბრუნვის 2 პროცენტს. ამასთანავე, იგი 600 ლარზე ნაკლები არ უნდა იყოს. შესაბამისად, ხელმძღვანელობს რა სააგენტო „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის დარღვევის გამო მოვაჭრისთვის დასაკისრებელი ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის წესით დადგენილი ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის ფორმულით **B = N + T + L + M ± A**, სააგენტოს მიერ მოვაჭრისათვის დაკისრებული ჯარიმა განისაზღვრა ის ოდენობით. **N( ) + T( ) + L) + M( ) + A( )=B( )**

3.10. იმის გათვალისწინებით, რომ ჯარიმის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს წინა ფინანსური წლის განმავლობაში მოვაჭრის წლიური ბრუნვის 2 პროცენტს და ამასთანავე, იგი 600 ლარზე ნაკლები არ უნდა იყოს, ხოლო ლარის არის 7 028 ლარი და 83 თეთრი, შესაბამისად, **შპს „ფუდლისთვის“ (ს/ნ: 405410782)** სააგენტოს გადაწყვეტილების მის მიერვე განსაზღვრულ ვადაში შეუსრულებლობისათვის დასაკისრებელი ჯარიმის ოდენობა უნდა განისაზღვროს 7 028 ლარისა და 83 თეთრის ოდენობით.

4. სარეზოლუციო ნაწილი

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17[1] მუხლის მე-4 პუნქტის, მე-18 მუხლის მე-4 პუნქტის, „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის მე-5 პუნქტის, 34-ე მუხლის პირველი, მე-3, მე-5, მე-6, მე-7 პუნქტების, საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანებით დამტკიცებული „საქმის შესწავლის წესისა და პროცედურის“ მე-18 მუხლის მე-3, მე-4 და მე-6 პუნქტების, მე-19 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის 2024 წლის 30 სექტემბრის №04/945 ბრძანებით დამტკიცებული „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „ელექტრონული კომერციის შესახებ“ საქართველოს კანონის დარღვევის გამო დასაკისრებელი ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის წესის მე-3, მე-4, მე-5, მე-7 და მე-8 მუხლების შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. დადასტურდეს შპს „ფუდლის“ (ს/ნ: 405410782) მიერ „სსიპ - საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს თავმჯდომარის 2025 წლის 18 თებერვლის N 04/134 ბრძანების შესაბამისად განხორციელებული საქმის შესწავლის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების დამტკიცების შესახებ“ სსიპ - საქართველოს კონკურენციისა და

მომხმარებლის დაცვის სააგენტოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის 2026 წლის 28 ივლისის N 04/1174 ბრძანების განსაზღვრულ ვადაში შეუსრულებლობა.

2. შპს „ფუდლის“ (ს/ნ: 405410782) დაეკისროს ჯარიმა 7 028 ლარისა და 83 თეთრის ოდენობით.
3. მოვაჭრე ვალდებულია, ჯარიმა გადაიხადოს ამ ბრძანების კანონმდებლობით განსაზღვრული წესით გაცნობიდან 1 თვის ვადაში.
4. ჯარიმა გადაიხდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში.
5. ჯარიმის დაკისრება შპს „ფუდლის“ (ს/ნ: 405410782) არ ათავისუფლებს „სსიპ - საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს თავმჯდომარის 2025 წლის 18 თებერვლის N 04/134 ბრძანების შესაბამისად განხორციელებული საქმის შესწავლის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების დამტკიცების შესახებ“ სსიპ - საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის 2026 წლის 28 ივლისის N 04/1174 ბრძანების შესრულების ვალდებულებისგან.
6. ბრძანება გაეგზავნოს შპს „ფუდლის“ (ს/ნ: 405410782).
7. ბრძანება განთავსდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
8. ამ ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია მისი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით გაცნობიდან 30 კალენდარული დღის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).
9. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ირაკლი ლექვინაძე

თავმჯდომარე